განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## არქეოლოგია, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

## შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 30/03/2020 – 1/04/2020

დასკვნის წარდგენის თარიღი 19/05/2020

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს საქართველოს უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205037137 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | არქეოლოგია |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | არქეოლოგიის მაგისტრი (MA in Archaeology) – 1001 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული 28/12/2017, № 71 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ემზარ კახიძე, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნოდარ ბახტაძე, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ „არქეოლოგია" აკრედიტაცია გაიარა 2017 წლის 28 დეკემბერს (ბრძანება № 71).

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა პროგრამის მონიტორინგის პირობებში (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2020 წლის 23 მარტის ბრძანება MES 7 20 00313757).

პროგრამის მონიტორინგის საფუძველი იყო აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობა პროგრამის მონიტორინგით შემოწმების თაობაზე, რომლის შესაბამისად, მონიტორინინგის პირობებში უნდა ყოფილიყო შესწავლილი. გაითვალისწინა თუ არა დაწესებულებამ საბჭოს მითითებები, ასევე მონიტორინგის ფარგლებში უნდა შეფასებულიყო არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს შორის არსებული სხვაობის შესაბამისობა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. ცენტრისგან გამოთხოვნილი იქნა პროგრამასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაცია:

- არქეოლოგიის სამაგისტრო და არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საკრედიტაციო პერიოდში პროგრამების შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზის დოკუმენტი//პროგრამაში შესული ცვლილებების აღმწერი დოკუმენტი.

პროგრამის შემოწმება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელების გარეშე.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას „არქეოლოგია" 2017 წლის 28 დეკემბერს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (ბრძანება № 71) მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი, აქედან სასწავლო კომპონენტს ეთმობა 90 ECTS კრედიტი, საიდანაც 60 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო კურსებია, 30 კრედიტი ეთმობა არჩევით და თავისუფალ სასწავლო დისციპლინებს. დარჩენილი 30 ECTS კრედიტი სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისთვისაა გამოყოფილი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

პროგრამის შემოწმება ექსპერტების მიერ განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს საქართველოს უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. შეფასდა პირველი და მეორე სტანდარტები, მე-4 სტანდარტის 4.1 კომპონენტი და მე-5 სტანდარტის 5.2 კომპონენტი (კვლევითი კომპეტენციის გამომუშავების საჭირო კურსები, მათ შორის

დარგობრივი კვლევითი ცოდნის, მისი კომპეტენციების დამდგენი კურსების სწავლება და გარკვეულ საგნებში შინაარსის, შედეგებისა და მიზნების თავსებადობა და ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფა), აგრეთვე შეფასდა არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს შორის არსებული სხვაობის შესაბამისობა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებაში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტების მიერ განხორციელდა პირველი და მეორე სტანდარტის შეფასება, მე-4 სტანდარტის 4.1 კომპონენტი და მე-5 სტანდარტის 5.2 კომპონენტი. შეფასდა არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს შორის არსებული სხვაობის შესაბამისობა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებაში.
საგანმანათლებლო პროგრამა შეფასების პირველი, მეორე, 4.1 და 5.2 სტანდარტის მიხედვით, შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს.

- **რეკომენდაციები**

- 2017 წლის 28 დეკემბერის (ბრძანება № 71) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, უნდა შესრულებულიყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული შემდეგი რეკომენდაციები:
    1) უნდა გაძლიერდეს კვლევითი კომპეტენციის გამომუშავების საჭირო კურსები, მათ შორის დარგობრივი კვლევითი ცოდნის და მისი კომპეტენციების დამდგენი კურსების სწავლება;
    2) გარკვეულ საგნებში, მაგალითად „გეოფიზიკური მეთოდები არქეოლოგიაში" უნდა მოხდეს შინაარსის, შედეგებისა და მიზნების თავსებადობა და ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფა;
    3) უნდა მოხდეს არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო კურსების უფრო მკაფიო გამიჯვნა.

გარდა ამისა, აკრედიტაციის საბჭოს მოსაზრებით, უნდა შეფასებულიყო არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს შორის არსებული სხვაობის შესაბამისობა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებაში.
მიმდინარე ეტაპზე ექსპერტთა მიერ რეკომენდაციები არ გაცემულა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** უმაღლესი განათლების განვითარების ბოლოდროინდელი ტენდენციებიდან გამომდინარე, პროგრამის მესვეურებს ვურჩევთ გაამსხვილონ სწავლის შედეგები, რომელთაგან ყველაზე რელევანტური იქნება დარჩეს **ცოდნა და გაცნობიერება**, **უნარები** და **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროგრამამ „არქეოლოგია" აკრედიტაცია გაიარა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას „არქეოლოგია" 2017 წლის 28 დეკემბერს

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით. პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 7 წლის ვადით.

დაწესებულებამ ჩვენს მიერ განსახილველი დოკუმენტაცია ცენტრში წარმოადგინა 2020 წლის 24 თებერვალს. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეფასების პირველი, მეორე, 4.1 და 5.2 სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიის ანალიზიდან ირკვევა, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში უკვე ნათლადაა წარმოდგენილი სამაგისტრო სწავლების დონისათვის შესაბამისი კვლევითი და პრაქტიკული უნარების ფორმირების პროცესი და თანმიმდევრობა, რომელიც ხაზგასმით ემიჯნება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს არა მის მოდიფიცირებულ ვარიანტს, არამედ საბაკალავრო პროგრამის ლოგიკური გაგრძელებაა.

მოდერნიზებული სამაგისტრო პროგრამის ძირითადი და სპეციალიზაციის განმსაზღვრელი საგნები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. დამატებულია „შუა საუკუნეების არქეოლოგია", რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს დარგის შესწავლისთვის აუცილებელ მოთხოვნებს, აგრეთვე მოდერნიზებულია „გეოფიზიკური მეთოდები არქეოლოგიაში", სადაც მოხდა შინაარსის, შედეგებისა და მიზნების თავსებადობა და ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფა.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური, არქეოლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიებს დაუფლებული, საველე და თეორიული არქეოლოგიური სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელი კომპეტენციისა და პრაქტიკული უნარების მქონე პროფესიონალების მომზადება. შეფასებული პროგრამა თანხვედრაშია საქართველოს უნივერსიტეტის მისიასთან, რაც |

გულისხმობს სტუდენტებისთვის ცოდნის საზღვრების გაფართოებას და განათლებული, ჰარმონიული პიროვნებების ჩამოყალიბებას, რომლებმაც პროფესიული საქმიანობითა და მეცნიერული მიღწევებით თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ ჰუმანურ და დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში.

- პროგრამაში საკმაოდ ნათლადაა წარმოდგენილი სამაგისტრო სწავლების დონისათვის შესაბამისი კვლევითი და პრაქტიკული უნარების ფორმირების პროცესი და თანმიმდევრობა, რასაც ადასტურებს მასში გათვალისწინებული, თანამედროვე სტანდარტებზე ორიენტირებული თეორიული და პრაქტიკული კურსების სინთეზი.
- პროგრამა ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე, რაზედაც თუნდაც შემდეგი გარემოება მეტყველებს: ამ პროგრამის კურუკულუმებით გათვალისწინებულია მომიჯნავე და არქეოლოგისთვის მნიშვნელოვანი ისეთი დისციპლინების სწავლება, როგორიცაა პალინოლოგია, ბიოლოგიური ანთროპოლოგია, გეოფიზიკური მეთოდები არქეოლოგიაში, არქეოლოგიური კოლექციების ინტერპრეტაცია მუზეუმებში, პროექტის მენეჯმენტი, არქეოლოგიური პროექტის მართვა. შესაბამისად, კურსდამთავრებული არქეოლოგიის მაგისტრი, ამ დისციპლინების სათანადოდ ათვისების შემთხვევაში, დასაქმების ბაზარზე რამდენიმე პრიორიტეტით აღჭურვილი წარდგება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის მისია.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- შეფასებული პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლების მეთოდები და მოცულობა, შედგენილია სწავლის შედეგების მიღწევების გათვალისწინებით. კურსებში წარმოდგენილი სწავლების მეთოდები და კრედიტების რაოდენობა, სასწავლო კურსების შინაარსის შესატყვისია და უზრუნველყოფს სწავლის შედეგზე გასვლას.
- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ლექციების, დისკუსიების, საველე-არქეოლოგიური პრაქტიკის, ყოველკვირეული შეფასების, შუალედური და ფინალური შეფასებების, პრეზენტაციების, რეფერატების მომზადების, სამაგისტრო ნაშრომების მომზადება/დაცვის ფორმატში გამოიყენებს პროგრამის სპეციფიკისთვის რელევანტურ მეთოდებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს სწავლის სასურველი შედეგების მიღწევას.
- პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია არქეოლოგიის მაგისტრი.

| |
|---|
| |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ პროგრამის საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება;<br>○ არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები;<br>○ სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (www.ug.edu.ge). |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში და შესაბამისად სილაბუსებში, ჩვენი აზრით, სწავლის შედეგებზე გასვლის ცოტა მოძველებული სტანდარტებია გამოყენებული: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი და ღირებულებები. უმაღლესი განათლების განვითარების ბოლოდროინდელი ტენდენციებიდან გამომდინარე, პროგრამის მესვეურებს ვურჩევთ გაამსხვილონ სწავლის შედეგები, რომელთაგან ყველაზე რელევანტური იქნება დარჩეს **ცოდნა და გაცნობიერება, უნარები** და **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | არ არის შესაბამისობაში |
|---|---|---|---|---|

| | | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | v | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ წარმოდგენილ პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭირვალედ უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. კერძოდ, პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ხარისხის ან კანონმდებლობით მასთან გათანაბრებული დიპლომის მფლობელი პირი, რომელიც ჩაირიცხება ამ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით - საერთო სამაგისტრო გამოცდის (გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა), შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის (ინგლისური ენა) და სპეციალობაში ზეპირი გასაუბრების შემდეგ.<br>○ პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან (www.ug.edu.ge), აგრეთვე პროგრამის ხელმძღვანელთან პირადი კონსულტაციების საფუძველზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. კერძოდ, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია სრულად აკმაყოფილებს სტანდარტების მოთხოვნას.
- შეფასებულ სასწავლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების კომპონენტები თანამიმდევრულია, ლოგიკურია შემდგომ კომპონენტზე დაშვება. სასწავლო კურსებს, ძირითადად, არ გააჩნიათ წინაპირობები და თანმიმდევრულობა განსაზღვრულია სემესტრული განაწილების გზით. სასწავლო კურსები

განაწილებულია მასალის თანდათანობითი გართულების პრინციპით.

- სამაგისტრო პროგრამის ძირითადი (სპეციალობის განმსაზღვრელი) და სპეციალური მოდულის (სპეციალიზაციის განმსაზღვრელი) საგნები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია, უზრუნველყოფს სილაბუსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და ერთობლიობაში განაპირობებს სამაგისტრო პროგრამის მიერ დასახული სწავლის საერთო შედეგების მიღწევას.
- 120 ECTS კრედიტის დაგროვების შემდე (8 სემესტრის განმავლობაში), რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: სტუდენტის წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი); აქედან სასწავლო კომპონენტს ეთმობა 90 ECTS კრედიტი, საიდანაც 60 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო კურსებია, 30 კრედიტი ეთმობა არჩევით და თავისუფალ სასწავლო დისციპლინებს. დარჩენილი 30 ECTS კრედიტი სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისთვისაა გამოყოფილი.
- თითოეული კურსი 6 კრედიტიანი, სამაგისტრო ნაშრომი კი - 30 კრედიტიანია. კურიკულუმი ითვალისწინებს პრაქტიკულ არქეოლოგიურ კვლევებში (საველე ექსპედიცია) სტუდენტის აუცილებელ მონაწილეობას.
- სასწავლო კურსების განხორციელებისას გამოიყენება სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები ლექცია, სემინარები, ჯგუფური მუშაობა, ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაციები და ა.შ.
- შეფასებული სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია არქეოლოგიის მაგისტრი. საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების (სავალდებულო და არჩევითი საგნები), კვლევითი (სამაგისტრო ნაშრომი) და პრაქტიკული (საველე-არქეოლოგიური პრაქტიკა) კურსების ერთობლიობით შეძენილი ცოდნა უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სამაგისტრო დონის სწავლის შედეგებს. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით, ექსპერტები ვადასტურებთ, რომ ის რეალისტური, გაზომვადი და საბაკალავრო პროგრამისგან გამიჯნულია. კარგადაა აღწერილი შედეგების შეფასების მექანიზმები, ხოლო თვითშეფასების ანგარიშში მოტანილი პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა მიუთითებს თითოეული კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობას პროგრამის მიზნებთან და ამოცანებთან. სწავლის შედეგები რამდენიმე კრიტერიუმით იზომება პრეზენტაციების, გამოქვეყნებული ნაშრომების, დასაქმების ინდიკატორების და, რაც მთავარია,

სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ათვისების მექანიზმებით. ექსპერტები ხაზს ვუსმევთ არქეოლოგიური პრაქტიკის და ლაბორატორიული კვლევების უნარ-ჩვევების ათვისების მექანიზმების რელევანტურობას პროგრამის მიზნებთან შესაბამისად, აგრეთვე სხვა დარგებთან, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო კურსებთან ურთიერთკავშირს. მნიშვნელოვანია, ის რომ სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს საველე მუშაობის პრაქტიკის დღიური, რაც ხელს შეუწყობს მის შემდგომ პროფესიულ ზრდას, ამზადებს მას საჯარო პრეზენტაციებისათვის, აძლევს ცოდნას სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის ირგვლივ და უვითარებს მომიჯნავე დარგებში ცოდნის კომპეტენციებს. პროფესორის დახმარების სავალდებულო კომპონენტი ასევე დადებით მომენტად გვეჩვენება, ვინაიდან ეს მისი აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

ექსპერტთა ჯგუფი იძლევა რჩევას შეამცირონ სწავლის შედეგები მათი გამსხვილების ხარჯზე.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- წარმოდგენილი დოკუმენტაციიის ანალიზიდან ირკვევა, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში უკვე ნათლადაა წარმოდგენილი სამაგისტრო სწავლების დონისათვის შესაბამისი კვლევითი და პრაქტიკული უნარების ფორმირების პროცესი და თანმიმდევრობა, რომელიც ხაზგასმით ემიჯნება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს არა მის მოდიფიცირებულ ვარიანტს, არამედ საბაკალავრო პროგრამის ლოგიკური გაგრძელებაა.
- ჩვენი რეკომენდაციების შესაბამისად პროგრამაში დამატებულია „შუა საუკუნეების არქეოლოგია“, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს დარგის შესწავლისთვის აუცილებელ მოთხოვნებს, აგრეთვე მოდერნიზებულია „გეოფიზიკური მეთოდები არქეოლოგიაში“, სადაც მოხდა შინაარსის, შედეგებისა და მიზნების თავსებადობა და ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფა. ამ პროგრამის კურუკულუმებით გათვალისწინებული სხვა ძირითადი და მომიჯნავე დისციპლინები, როგორიცაა პალინოლოგია, ბიოლოგიური ანთროპოლოგია, გეოფიზიკური მეთოდები არქეოლოგიაში, არქეოლოგიური კოლექციების ინტერპრეტაცია მუზეუმებში, პროექტის მენეჯმენტი, არქეოლოგიური პროექტის მართვა მთლიანად უზრუნველჰყოფს კურსდამთავრებულის დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტად წარდგინებას.
- მოდერნიზებული სამაგისტრო პროგრამის ძირითადი და სპეციალიზაციის განმსაზღვრელი საგნები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. დამატებულია „შუა საუკუნეების არქეოლოგია“, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს დარგის შესწავლისთვის აუცილებელ მოთხოვნებს, აგრეთვე მოდერნიზებულია „გეოფიზიკური მეთოდები არქეოლოგიაში“, სადაც მოხდა შინაარსის, შედეგებისა და მიზნების თავსებადობა და ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფა.

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, ECTS კრედიტებით განსაზღვრული პროგრამის მოცულობა, პროგრამის მიზნები, დარგობრივი ცოდნის, ზოგადტრანსფერული თუ პრაქტიკული უნარების გამომუშავებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდოლოგია, ისევე როგორც სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.
- სტუდენტთა შეფასების სისტემაში საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ზუსტადაა განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები. სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებისა და საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულების შესაბამისად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ დოკუმენტაციის ანალიზიდან მტკიცდება, რომ უნივერსიტეტი მრავალმხრივ ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას კვლევითი პროექტების განხორციელებაში. უნივერსიტეტს გააჩნია საუნივერსიტეტო არქეოლოგიური მუზეუმი, საკუთარი არქეოლოგიური ბაზა, საჭირო სამუშაო გარემო და ლაბორატორია რაც ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას. იგივე შეიძლება ითქვას განახლებული სილაბუსების მიმართ, რომელთა დეტალური ანალიზი გვარწმუნებს რომ პროგრამა სწავლის შედეგების შესაბამისად უზრუნველყოფს დარგობრივი და სატრანსფეერო უნარების განვითარებას.<br>○ სტუდენტის პრაქტიკული მუშაობის უნარების განვითარებისთვის არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს აუცილებელ საველე-არქეოლოგიურ პრაქტიკას, რომელიც ორგანიზირებული და დაგეგმილია სწავლის სასურველი შედეგების შესაბამისად, რაც არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილე სტუდენტს უფართოებს დარგისთვის მნიშვნელოვანი პრაქტიკული მუშაობის, ნივთიერი კულტურის ნიმუშების იდენტიფიცირების, საველე დღიურის წარმოების, პრაქტიკის ანგარიშის მომზადებისა და პრეზენტაციის უნარებს. საველე-არქეოლოგიური პრაქტიკის მდგრადობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერა, რომელიც პარალერულად ხელს უწყობს მაგისტრანტებს მონაწილეობას ახალგაზრდა არქეოლოგთა ყოველწლიურ კონფერენციებსა და სტუდენტთა ზოგადჰუმანიტარულ სამეცნიერო სესიებში. სასწავლო ციკლის ბოლოს სტუდენტი ამზადებს და საბჭოს წინაშე წარადგენს სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც ასევე ორიენტირებულია კვლევითი უნარების გამომუშავებაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; |

| |
|---|
| ○ 28/02/20 გამოგზავნილი დამატებითი დოკუმენტაცია. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ განახლებულ სილაბუსებში გათვალისწინებულია უმაღლესი საგანმამანათლებლო დაწესებულებებისადმი წაყენებული სტანდარტები: სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდები, რომლებიც შეესაბამება მაგისტრატურის სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. მაგალითად, ჩვენი რეკომენდაციების შესაბამისად „გეოფიზიკური მეთოდები |

| |
|---|
| არქეოლოგიაში“ მოხდა შინაარსის მოდერნიზება, მათ შორის სწავლება-სწავლის მეთოდების განახლება.<br>○ სასწავლო კომპონენტის განხორციელება ხდება კონკრეტული სასწავლო კურსისა და ამათუიმ სამეცნიერო თუ აკადემიური კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით. გათვალისწინებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდი: წიგნზე მუშაობის, ახსნა-განმარტებითი, ჯგუფში მუშაობა, დისკუსია/დებატები, რეფერატის მომზადება, დემონსტრირება, საველე პრაქტიკა. ისინი სრულიად შეესაბამება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს როგორც ცალკეული სასწავლო კურსის, ისე მთლიანად პროგრამის მიზნების განხორციელებას.<br>○ თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტების ანალიზის შედეგად ექსერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ სწავლისა და სწავლების მეთოდები შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისადმი წაყენებულ სტანდარტებს და უზრუნველყოფს სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამის ამოცანების მიღწევას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულები;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- შეფასებული პროგრამის ყოველი ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრულია შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები.
- შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების დადგენა ხდება შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორის, პროგრამის/დეპარტამენტის ხელმძღვანელის და სკოლის დირექტორის ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე.
- გარდა ამისა, შეფასების პროცედურის გამჭვირვალობისა და მაქსიმალური ობიექტურობის დაცვის მიზნით დასკვნითი გამოცდები წარიმართება ერთიანად, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის ორგანიზებით, ვიდეომეთვალყურეობით, ხოლო საგამოცდო ნაშრომების გასწორება მოხდება ანონიმურად. შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია მათი გამოცხადებიდან (სტუდენტის პირად ვებგვერდზე განთავსებიდან) დადგენილ ვადებში და დადგენილი ფორმით, რომელიც ცნობილია სტუდენტისთვის, უნივერსიტეტის ელქტრონული ბაზის გამოყენებით.
- სასწავლო კურსების შეფასების მეთოდი გამჭირვალეა და ნათლად გაწერილია ყველა სილაბუსში. შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების დადგენა ხდება შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორის, პროგრამის/დეპარტამენტის ხელმძღვანელის და ხარისხის სამსახურის ურთიერთშეთანხმებით, რაც სილაბუსებში გაწერილი მოთხოვნების ურთიერთშედარებიტაც დგინდება. შეფასების პროცედურის გამჭირვალეობისა და ობიექტურობის დაცვის მიზნით დასკვნითი გამოცდები მიმდინარეობს ერთიანად, ადმინისტრაციის ორგანიზებით. სათანადო პროცედურების დაცვით საგამოცდო ნაშრომების გასწორება

| |
|---|
| ანონიმურია. შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია პროცედურით დადგენილ ვადებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა და თვითშეფასების ანგარიში. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, | v | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | | |

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| |
|---|
| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
|---|
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული |

| |
|---|
| ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, განათლება და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. მის განხორციელებაში ჩართული არის შესაბამის სექტორში გამოცდილი კადრი.<br>○ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო (9) და მოწვეული პერსონალის (13) რაოდენობა და აკადემიური დატვირთვა უზრუნველყოფს არქეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვასა და კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები სიღრმისეულად ფლობენ დარგობრივი სფეროების თეორიას, პრაქტიკას, მეთოდებსა და პედაგოგიურ უნარებს. მათი გამოცდილება მუდმივად განახლებადია საერთაშორისო გამოცდილების მქონე სპეციალისტთა მიერ წარმართული ტრეინინგების მეშვეობით.<br>○ პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც სკოლის დირექტორსა და პროგრამაში ჩართულ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად პასუხისმგებელია სილაბუსების ხარისხსა და პროგრამის შესაბამისობაზე ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან. პროგრამის ხელმძღვანელი და სკოლის დირექტორი პროგრამის განვითარების პროცესში, კოორდინირებას უწევენ პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალის ჩართულობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ 28/02/20 გამოგზავნილი დამატებითი დოკუმენტაცია |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება** |

| |
|---|
| ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება |
|---|
| დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.3 მატერიალური რესურსი |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
| პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

| |
|---|
| ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | v | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელის მუშაობაც განსაზღვრულია სამსახურის დებულებით.
- ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ წინა მონიტორინგის საფუძველზე გაცემული რჩევების შესაბამისად უსდ-ს მიერ გადამუშავებული არქეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასების პირველი, მეორე, 4.1 და 5.2 სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საქართველოს უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა „არქეოლოგიის“ 2017 წლის აკრედიტაციის დასკვნა;
- თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება |
|---|
| პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | v | | | |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

არქეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა:
29

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | v | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | v | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | v | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | v | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ემზარ კახიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი

ნოდარ ზახტაძე

